ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 18 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 31 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „სამართლიანობისთვის" რეგისტრაციის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „სამართლიანობისთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „სამართლიანობისთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრთა ჯგუფის მიერ შეიქმნა ფრაქცია „სამართლიანობისათვის“, კახა ლატარიას, კობა გოქაძისა და ლაშა ცატავას შემადგენლობით, ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია კახა ლატარია, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ კობა გოქაძე. ფრაქციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია

აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რეგისტრირებულ იქნა ბიუროს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც მიულოცა ფრაქციის წევრებს ფრაქციის შექმნა და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში და სთხოვა ფრაქციის თავმჯდომარეს კ. ლატარიას დაეკავებინა ბიუროს წევრისთვის განკუთვნილი ადგილი.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ამავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით საჯარო დაწესებულებებისთვის დადგენილ იქნა ვალდებულება 2018 წლის 20 იანვრამდე საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებისა და ამ აქტების 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებასთან დაკავშირებით. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". წარმოდგენილი დადგენილების პროექტით საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის პროექტში თითოეული თანამდებობისთვის თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების ფარგლებში, რომლის შედეგადაც, თანამდებობრივი სარგოები დგინდება: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის - 1600 ლარის ოდენობით; მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის - 1100 ლარის ოდენობით; პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის - 900 ლარის ოდენობით; მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის - 850 ლარის ოდენობით; მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის: 700 ლარის ოდენობით; მეოთხე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის: 650 ლარის ოდენობით. რაც შეეხება საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირებს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა, ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით: საკრებულოს თავმჯდომარე - 2800 ლარის ოდენობით; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 2000 ლარის ოდენობით; საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე - 1650 ლარის ოდენობით; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე - 1550 ლარის ოდენობით; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 1200 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს (დ. ჭოჭუა), გაეცნო თუ არა საკრებულოს საშტატო ნუსხას და რაიმე სახის შენიშვნა ხომ არ ექნებოდა?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ რაიმე სახის შეკითხვით მისთვის არავის მიუმართავს და არც შენიშვნები გააჩნია საკრებულოს საშტატო ნუსხასთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი თანამდებობრივ სარგოებთან დაკავშირებით სიტყვიერად შეთანხმებულია მერიასთან და სარგოები მერიაში და საკრებულოში ერთნაირად არის განსაზღვრული, „დროის სიმცირის გამო, გამომდინარე იქედან, რომ მერი და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი წინა დღით

იმყოფებოდნენ ფინანსთა სამინისტროში კონსულტაციებზე და კანონის მოთხოვნის შესაბამისად 20 იანვრამდე უნდა მიეღოთ მუნიციპალიტეტებს ახალი თანამდებობრივი სარგოები, წერილობითი შეთანხმება არ ყოფილა, თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნე სიტყვიერად წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია მერიასთან" განაცხადა ტ. ალექსანდრიამ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ფ. შონია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ კარგია საჯარო მოხელეებს, ცოტათი მაინც, რომ მოემატათ სახელფასო სარგო, დაინტერესდა სამსახურის უფროსების სახელფასო სარგო რა კრიტერიუმით გაიზარდა, რადგანაც პროცენტულად ყველაზე მეტი მათი სახელფასო სარგო გაიზარდა.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ მართალია ამ ეტაპზე სამსახურის უფროსების სახელფასო სარგო 200 ლარით გაიზარდა. მისი განცხადებით, თვითონ და კიდევ ორი სამსახურის უფროსი წინააღმდეგები იყვნენ, რომ სამსახურის უფროსების სახელფასო სარგო გაზრდილიყო ამდენი პროცენტით, მაგრამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით ასე

გადაწყდა, მაგრამ მომავალი წლიდან რანგირების შესაბამისად და დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდება ხელფასების გადანაწილება.

ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - განაცხადა, რომ, შეიძლება არ იყო მართებული ამ ეტაპზე 200 ლარით სახელფასო სარგოს გაზრდა, მაგრამ ეს იყო მერიის სამსახურების ერთობლივი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეიძლება ამ ეტაპისთვის მტკივნეულიც იყოს სახელფასო სარგოების გადანაწილება, მაგრამ გარდამავალი პერიოდია და დროთა განმავლობაში ყველაფერი დარეგულირდება და სთხოვა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ამავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით საჯარო დაწესებულებებისთვის დადგენილია ვალდებულება 2018 წლის 20 იანვრამდე საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებასა და 2018 წლის 1 იანვრიდან მათ ამოქმედებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მცირდება მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში არსებული 1 ვაკანტური თანამდებობა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციის შესაბამისად, მერის პირდაპირ დაქვემდებარებაში ემატება 1 საშტატო ერთეული გენდერული თანასწორობის საკითხებში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით საჯარო მოხელის თითოეული თანამდებობისთვის განსაზღვრული სახელფასო კოეფიციენტების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობებისთვის თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის პროცესში, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად დაკორექტირდა ცალკეულ თანამდებობათა იერარქიული კუთვნილება და თანამდებობის დასახელება, კერძოდ: მერიის ამჟამად მოქმედი საშტატო ნუსხით მეოთხე რანგში განაწილებული

თანამდებობები გადანაწილდა მესამე რანგში. მერიის საშტატო ნუსხის პროექტში თითოეული თანამდებობისთვის თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების ფარგლებში. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ფ. შონია, გ. ჯობავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კომისიის მიერ მომზადდა საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და გამგეობის მიერ 2018 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ფ. შონია, გ. ჯობავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-6 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა საკრებულოს წევრის რამინი ხილაძის განცხადება საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის და განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაწევრიანების თაობაზე. კომისიის მიერ აღნიშნული განცხადების საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც რ. ხილაძე შეყვანილ იქნა მის მიერ მოთხოვნილი კომისიების შემადგენლობაში. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ფ. შონია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ფ. შონია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია
11. ია ჯიმკარიანი
12. თემურ გულუა
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. რამინ ხილაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გოჩა ჯობავა
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. კახა ლატარია
24. აკაკი ხურცლავა
25. ფრიდონ შონია
26. კობა გოქაძე
27. გენადი ქამანაია
28. გიგა ნასარაია
29. ავთანდილ ხუნჯუა
30. ირაკლი ნადარაია
31. კახა მიქაბერიძე